№ 38

პარასკევი, 18 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 38

პარასკევი, 18 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227


დღესასწაულებისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 22 თებერვალს.


**დარია ივანეს ასული ჰოლოდინაშვილისა შვილებითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას საყვარელის მეუღლის

**მღვდლის ალექსანდრე ზაქარიას ძის მოლოდინა-შვილისა**

და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 20-ს თებერვალს, დილის 9 ნახევარ საათზედ, ანჩის-ხატის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში № 21, საიდგანაც მიცვალებულის გვამს გაასვენებენ ანჩისხატის ტაძარში წირვისა და პანაშვიდის გარდასახდელად. პანაშვიდები გარდახდილ იქნება ყოველ დღე: ნაშუადღევის 1-ს საათზედ და საღამოს 8 საათზედ. (1—51—1)

**კონსტანტინე ნასიძე მეუღლითურთ** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა უძვირფასესის ასულის

**თ ა მ ა რ ი ს ა ს**

და სთხოვს მობრძანდნენ დიდუბეში გულისაშვილის სახლში დღეს, 18 თებერვალს, დილის 10 საათზედ, მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ დასასწრებლად. (1—56—1)

შაბათს, 19 თებერვალს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**გიორგი ექ. წერეთლისა**

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზე, პანაშვიდი $11^1/_2$.

## ქართული თეატრი

შაბათს, 19 თებერვალს 1900 წ.

**ბ ე ნ ე ფ ი ს ი**

**ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ ეფემია მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

**ყ ა ზ ა ხ ი ა ნ ი**

დრამა 5 მოქმედ. თავ. ა. სუმბათაშვილის პიესიდამ გადმოკ. კ. მესხის-მიერ

II

პირველად ახალი პიესა

**რიოში და ნამდვილი**

ხუმრობა 1 მოქმ. გადმოკ. პ. უმიკაშვილის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ეფემია-მესხი, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარელი, ნებიერიძისა, გარული, აბხაზიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, ყიფიანი, გედევანოვი, ადამიძე, ჯაჯანაშვილი, ურუშაძე და სხვ.

ადგილების ფასი საბენეფისოა. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე კნ. ა. ა. **ამილახვარი**, ამ საზოგადოების სასარგებლოდ, 18 თებერვალს, „ტფილისის კრუჟოკის“ სადგომში, გამართავს

**საცეკვაო საღამოს.**

მანდილოსნებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები სავალდებულო არ არის. ბილეთი 2 მან. 10 კ. ჰღირს, იყიდება საზოგადოების თავმჯდომარესთან, ძველი-ინსტიტუტის ქუჩა, ტერ-ასატუროვის სახლი, და საზოგ. მდივანთან. ი. ბ. ხალათოვთან, ლაბორატორიის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 4. (3—49—3)

ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის

**„შ რ ო მ ი ს“**

გამგეობა ამითი აუწყებს ამა ამხანაგობის წევრთ, რომ

**წლიური კრება**

ამხანაგობის წევრთა შესდგება **კვირას, 27 თებერვალს,** ამხანაგობის სადგომში წარსულის 1899 წლის ანგარიშისა, სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და სხვა საქმეთა განსახილველად. (5—6.—2)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ა. ს. **როინაშვილის** მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (უ.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სააკანაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შჰაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7—7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову (—1—ў).


## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: განჯის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს ნადვორნი სოვეტნიკს კიკნაძეს—კოლეჟსკი სოვეტნიკობა; ფოთის მომრიგებელ სასამართლოს მდივანს კოლეჟსკი ასესორს ჩიკვაიძეს—ნადვორნი სოვეტნიკობა; რაჭის მაზრის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულს ტიტულიარნი სოვეტნიკს ყიფიანს—კოლეჟსკი ასესორობა. ზანგეზურის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს კოლეჟსკი სოვეტნიკს კანდელაკს—ტიტულიარნი სოვეტნიკობა; ქუთაისის ოლქის კანცელარიის მოხელეებს კოლეჟსკი რეგისტრატორებს ჰეჰინაძესა და კანდელაკს—გუბერნსკი სეკრეტრობა.

გადაყვანილ იქმნენ: ყარსის ოლქის ოლთის ნაწილის გარდასახადთა ინსპექტორი ტიტულ. სოვეტნიკი ხოშტარია—ერევნის გუბერნიის ნახჩევანის ნაწილში, ხოლო ამ ნაწილის ინსპექტორი კოლეჟსკი ასესორი ქუთათელაძე—ოლთის ნაწილში პირველის ადგილზედ.

## ახალი ამბავი

⁂ ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა შუამდგომლობა აღძრა გამგეობაში იმის შესახებ, რომ პეტრე-პავლეს სასაფლაოდგან გადამდებ სენით ავადმყოფთა სასნეულომდე გაყვანილი ქუჩა მოიკირწყლოს. მოისმინა რა ეს შუამდგომლობა, გამგეობამ დაადგინა მიენდოს გამგეობის საალმშენებლო განყოფილებას შეადგინოს სიები ქალაქის ყველა იმ ქუჩისა, რომლის მოკირწყვლა უფრო საჭიროა, აგრეთვე შეადგინოს ქუჩების მოსაკირწყლავად საჭირო ხარჯთ აღრიცხვა და წარუდგინოს გამგეობას, რომ რაიმე საშუალება იქმნას გამოძებნილი ქუჩების მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაო.

⁂ ოთხშაბათს, 17 თებერვალს, გამგეობის წევრის ბ-ნ ხოსროევის მოხსენების თანახმად, ქალაქის გამგეობამ დაადგინა: ეთხოვოს საპჭოს, რომ აღმორჩეულ იქმნას აღმასრულებელი კომისია, რომელსაც მიენდობა ქალაქის სახლების ნომრების გაწეს-რიგების საქმე და აგრეთვე შეიმუშაოს სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც რაც ხარჯი დასჭირდება ნომრების შეცვლასა და სახლებზედ იმ პატარა ფირების გაკვრას, რომლებზედაც წარწერილ უნდა იყოს ვინაობა სახლი-პატრონებისა, უნდა დაეკისროთ თვით ამ სახლის პატრონებს.

⁂ ქალაქის გამგეობამ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას დაავალა თვალ-ყური ადევნოს სასტიკად შეშის ვაჭრებს, რომ კანონიერის ზომის საჟენიანი შეშა ჰყიდონ ხოლმე თავისს საწყობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ოქმი შეადგინონ და სამართალში მისცენ.

⁂ ქალაქის გამგეობამ დაადგინა ლოტკის გორის ახლო-მახლო მდებარე მიწების იჯარით აღების მსურველთ დაეთმოთ თითოეული ოთხკუთხი საჟენი მიწა წელიწადში 15—20 კაპ.

⁂ 15 თებერვალს ქალაქის გამგეობაში მოხდა შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების ელექტრონით განათების მოწყობის საქმე. კრებაზედ იყვნენ აგრეთვე მიწვეულნი ელექტრო ტეხნიკოსები ბ-ნი რაგოლერი და ეგოროვი. კრებამ მოილაპარაკა ქალაქის განათების შესახებ და გამოარკვია, რომ ქალაქში უნდა გაიმართოს სულ 9,000 საელექტრონო ლამპარი, რომ ლნიც უნდა განაწილდეს ამ რიგად: 1,000 ლამპარი შუაბაზრისა, სიონის ქუჩისა, მოედნისა და აბანოების ქუჩის გასანათებლად, 2,000—სოლოლაკისათვის, 2,000—სასახლის ქუჩისა, ერმოლოვისა და ფრეილინის ქუჩებისა და ერევნის მოედნისათვის, 1,000—პუშკინისა და ლორის მელიქოვის ქუჩებისათვის, 1,500 — გოლოვინის პროსპექტისა და კუკიისათვის 1,500 ლამპარი. მოიჯარადრეთ უნდა წარადგინონ ქალაქის გამგეობაში ამა წლის 12 მარტამდე გადაწყვეტილი ფასები ტფილისის ელექტრონით განათების მოწყობის შესახებ.

ფირმამ, რომელიც იკისრებს განათებას, გამგეობაში უნდა შეიტანოს ბედ 10,000 მანეთი. ფირმა ვალდებული იქნება ერთის წლის განმავლობაში დაამთავროს განათების მოწყობის საქმე იმ დღიდგან, როცა პირობა იქმნება ხელმოწერილი.

⁂ ქალაქის გამგეობის აგენტებს შეუნიშნავთ, რომ ყასბები, იმ აზრით, რათა აიცილონ ბაკის სარგებლობისათვის გარდასახადის ძლევა, საკლავ საქონელს ბაკს გარეთ ჰყიდულობენ თურმე და თან სოფლის

მამასახლისების მოწმობებს არდგენენ ვითომც საქონელი ქალაქს გარეთ, სოფლად ეყიდოთ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა აღეკრძალოთ იმ საქონლის დაკვლა, რომელიც ბაკში ბეითლებისაგან არა ყოფილა შემოწმებული.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრის განუზრახავს წელს ქ. ზუგდიდში საცდელად გამართოს თამბაქოს პლანტაცია. ამის გამო ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წინადადება მიეცა, ამ საქმისათვის საჭირო ადგილი დაუთმოს, ხოლო ექსპერტის თანაშემწეს თავნაკაშიძეს მიეწერა ადგილის დათმობისათანავე შეუდგეს იმ ადგილზედ საცხოვრებელ სახლებისა და საცდელ მინდვრისათვის სხვა საჭირო მოწყობილებათა აგება-გამართვას.

*** ქალაქის გამგეობას 10,000 მანეთამდის ეხარჯება ყოველ წლობით ავადმყოფებისათვის სხვა-და-სხვა საჭირო წამლების სასყიდლად. ამის გამო გამგეობამ წინადადება მისცა სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორს, საჯრო ნაწილის მკურნალებსა და ქალაქის სამკურნალო დაწესებულებათა მმართველებთან ერთად განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ უკეთესი იქნება თუ არა გაუქმდეს ქალაქის აფთიაქი და ამასთანავე მოურიგდნენ სხვა კერძო მეაფთიაქეებს, რომ იმათ აძლიონ ავადმყოფებს წამლები ქალაქის ხარჯითაო; აგრეთვე წარუდგინოს გამგეობას თავისი მოხსენება, თუ რამდენად უფრო სასარგებლო იქნება ქალაქისათვის ამ რიგად მიაწოდოს ღარიბებს საჭირო წამლებიო.

*** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგანა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულს ტფილისის საბაღოსნო სკოლის შესახებ ცნობები, საიდგანაც სჩანს, რომ 1899 წელში ამ სკოლაში ყოფილა სულ 71 მოსწავლე; იქედგან 58 მოსწავლე საზოგადოების ხარჯით ყოფილა მიღებული და 13 გარედგან მოსიარულე. სკოლას შემოსავალი ჰქონია სულ წლის განმავლობაში 23,728 მან. 5 კაპ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიწად-მოქმედების დეპარტამენტს გამოუგზავნია აგრონომის ბ-ნ ტარატინოვისათვის ამერიკულის ბამბის თესლი სახაზინო მიწებში საცდელად. თუ ვინიცობაა ცდამ სასურველი ნაყოფი გამოიღო, ბ. ტარატინოვს დავალებული აქვს იმ ბამბის თესლის კავკასიის მცხოვრებთა შორისაც გავრცელება.

*** ზუგდიდის მაზრის ხოპის, ბიასა და სხვა სოფლების მცხოვრებელთ უთხოვნიათ კავკასიის მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულისათვის, სამეგრელოს ამ შუა და მეტად კარგის ნიადაგიანს სოფლებში გაიმართოს ამერიკულის ვაზისა და სხვა აქაურ ჰავას ამტან მცენარეთა სანერგეო.

*** როგორც შევიტყეთ, დუშეთთიონეთის მაზრის გარდასახადთა ინსპექტორს ედ. ედ. კაჩინსკის ტფილისის სახაზინო პალატის მესამე განყოფილების უფროსად ჰნიშნავენ.

*** ფოთი. 15 თებერვალს, „ცენტრალურ“ სასტუმროში ისეთი ამბავი ატყდა, რომ მთელი ბაზარი ააფორიაქა და კინაღამ დიდი უბედურება დატრიალდა. შეზარხოშებულმა გ. გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილმა რამდენჯერმე რევოლვერი გაისროლა, შიგ სასტუმროს ჭერს ახალა და შემდეგ ერთი ადიაქოთი ასტეხა. პოლიციელებმა და სასტუმროს პატრონმა თითონ რომ ვერა გააწყოს-რა მას დასამშვიდებლად, მიჰმართეს ბოქაულს პ. ი. ქავთარაძეს, რომელიც რამდენსამე წუთის შემდეგ სასტუმროსთან გაჩნდა. ბოქაულმა უბრძანა პოლიციელს ოსიფოვს შეეპყრობინა გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილი, რომელიც ამ უწესოების ჩადენის შემდეგ ივანოვის ქუჩაზედ თამამად მიდიოდა, მაგრამ ოსიფოვმა ვერ გაჰბედა მასთან მისვლა. მეტი გზა არ იყო, ისევ ბოქაული გამოუდგა. დაინახა თუ არა ეს გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილმა, მიაძახა: „სხლოს არ მომეკაროთ, თორემ მოგკლავთო“. მაგრამ ბოქაული მუქარას არ შეუშინდა და გამოუდგა უკან, რომ წესიერების დამრღვევი შეეპყრო. გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილმა რევოლვერით შეუტია ბოქაულს მოსაკლავად, მაგრამ ორჯელ უმტყუნა რევოლვერმა. ამასობაში ბოქაულმა მოასწრო რევოლვერის სროლა და გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილი ფეხში დასჭრა. ტყვია რომ გამოკრა, გაჩეჩილაძე-ჭაჭაშვილმა ხანჯალი იძრო, მაგრამ პოლიციელი ვლ. ლომაია ხანჯალს არ შეუშინდა, თავისს ბოქაულს მიეშველა, თავ-ხელი გაუხატორო დაიმორჩილეს და სატუსაღოში გაჰგზავნეს.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაავალა სამთო მთავარ-გამგეობის ინსპექტორს ბ-ნს კურმაკოვს, ცნობები შეჰკრიბოს და გამოგვიგზავნეთ ამიერ-კავკასიის სამხრეთ ნაწილში მადნების შემუშავებისა და საზოგადოდ სამთო მრეწველობის წარმატების შესახებაო.

# თეატრის მატიანე

„ებრაელი ქალი“, დრამა 5 მოქმედებად გალევისა.

16 თებერვალს ქ-ნ ა. კარგარელის საბენეფისოდ წარმოდგენილ დრამის „ებრაელ ქალის“ შინაარსი აღებულია საშუალო საუკუნოების ცხოვრებიდგან, როდესაც ჰბატონობდა ყოვლად ძლიერი ინკვიზიცია და როდესაც სარწმუნოებრივმა ფანატიკოსობამ უაღრეს ხარისხამდე მიაღწია. კაცობრიობის ცხოვრების არც ერთი ხანა არ არის, მგონი, იმდენის უმანკო სისხლით მორწყული, რამდენითაც საშუალო საუკუნოებია. უსაზღვროდ გაბატონებულ ინკვიზიციისა მაშინ ყველას ეშინოდა, ძლიერის მეფეებიდგან დაწყებული უბრალო ქოხში მცხოვრებ ღარიბამდე. ძნელადაც გადარჩებოდა სასჯელს ის, ვინც ინკვიზიციის სასტიკს წესებს დაარღვევდა. საკმაო იყო ისეთი უმნიშვნელო რამ, როგორც, მაგალითად, ეკკლესიის წინ გავლა და პირჯვრის დაუწერლობა, ან არა-ქრისტიანესთან, მაგალითად, ებრაელებთან დაახლოვება, რომ ასეთ კაცს ინკვიზიციის რისხვა მოვლენოდა და შუა ქუჩაში აპრიალებულ კოცონის სამწარე ეგემა. განსაკუთრებით დიდს ტანჯვაში იყვნენ ინკვიზიციისაგან არა-ქრისტიანენი, და მათ შორის-კი უფრო ებრაელნი, ანუ „უწმინდურნი“, როგორც მაშინ ებრაელებს ეძახდნენ.

ერთს ასეთ უსამართლობის გულსაკლავ სურათს ზემოხსენებულ დრამაშიაც ვხედავთ. შინაარსი ამ დრამისა მარტივია. ბრწყინვალე თავადს ლეოპოლდ რეჯინა-დე-სილვას, ცოლშვილის პატრონს, შეუყვარდა უბრალო ოქრომჭედლის ელიაზარის, ტომით ებრაელის ქალი რახილი. თავადი მოტყუებით, ებრაელის სახელით შედის ელიაზარის სახლში, თავს აყვარებს ახალგაზდა ქალს და იმასთან ერთად გაქცევას აპირობს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი აშკარავდება და თვით რახილისავე წყალობით ამ ამბავს ინკვიზიცია და ქალაქის სამჯავრო შეიტყობს. საკმაო იყო ეს სიყვარული ქრისტიანისა და ებრაელის ქალისა, რომ სამჯავროს ცეცხლზედ დაწვა გადაეწყვიტა სამივესათვის. საყურადღებოა ამ დრამაში ერთი გარემოებაც. რახილი ნამდვილი ქალი არ არის ელეაზარისა. ელეაზარმა იგი ბავშვობისას სიკვდილს გადაარჩინა ნეაპოლიტანელების მიერ რომის დაწვის დროს, როგორც საკუთარი ქალი ისე აღზარდა და არც-კი გაუგებინა, რომ სხვისი შვილი იყო. მამა რახილისა მაგისტრი ბრონია, ის ბრონი, რომელიც სამართალში აძლევს რახილს და იმისს დასჯას ხელს უწყობს. ბრონი მხოლოდ მაშინ შეიტყობს ელიაზარისაგან რახილის ვინაობას, როდესაც ყმაწვილი ქალი კოცონის ალს მიეცემა.

ჩვენმა მსახიობებმა წარსულ ოთხშაბათს ეს პიესა ვერ დასძლიეს და ისე ვერ წარმოადგინეს, როგორც შესაფერი იყო. მოუმზადებლობა მსახიობთ ყველაფერში ეტყობოდათ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ საზოგადო სენი ჩვენის მსახიობებისა—როლის უცოდინარობა. არც ერთმა ამ საღამოს არ იცოდა ხეირიანად როლი. შემდეგ, წარმოდგენას სრულიად არ ეტყობოდა რეჟისორის ხელი; ამ პიესის ზოგიერთი სცენა მეტად კარგ და მდიდრულ მორთულობას თხოულობს. მესამე მოქმედებაში, მაგალითად, სცენა სასახლეს წარმოადგენს. შეკრებილნი არიან დიდებულნი, თავადები, რაინდები, სეფე-ქალნი, პაჟები და მრავალნი სხვანი. ერთის სიტყვით, ეს სცენა დიდებულთა საკრებულოა. წარსულ საღამოს-კი სცენაზედ ორი-სამი უხეიროდ ჩაცმული სტატისტი გამოეყვანათ, რომელიც ისე არა ჰგავდნენ საშუალო საუკუნოების რაინდებს და დიდებულთ, როგორც ჩინელებს, და რომელთაც სრულიად არ ეჭირათ თავი რაინდულად.

რაც შეეხება უმთავრესის როლის აღმასრულებელთ, ამ საღამოთი ხეირიანის თამაშობით ვერც ერთმა ვერ ისახელა თავი. გვარიანად წარმოადგინა მოხუცის ელიაზარის როლი მხოლოდ კ. ყიფიანმა, მაგრამ როლის უცოდინარობა იმასაც ძალიან უშლიდა ხელს. მობენეფისეს ქ-ნ კარგარელს ნიჭი და ღონე არ შესწევს ისეთის ძლიერის დრამატიულის როლის წარმოსადგენად, როგორიც ამ პიესაში რახილის როლია, და გვიკვირს, თუ იმისაგან იყო დაწერილი ბენეფისი დაბენეფისო.

# ფელეტონი

## რა გავაკეთოთ

(მეოცე საუკუნის დამდეგში მაინც)

(დასასრული *)

II

ვისაც-კი ხალხის წარსულ-დღევანდელი ყოფა-მდგომარეობის ქარი და ლხინი ხალხშივე ცხოვრება ტრიალით ყოველ-მხრიულად და ზედ-მიწევნით შეუსწავლია შინ თუ გარედ, მთაში თუ ბარში, იმას კარგად ესმის თუ რა დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს კოოპერატიულ ალებ-მიცემობის დეპოებმა საქართველოს ყოველ კუთხეს და სოფელს, რომელთაც ყველგან ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშენი სჭამენ და ჰხრავენ და ხალხს ქონებას ალიან ხელიდგან წლის-წლობამდე ათასგვარ ყერაგული თაღლითობა-მოტყუებით, იმ უსამართლოდ გამოცლილ ქონებით სკოლასაც დაიარსებდა ადვილად ყოველი სოფელი, მეურნეობასაც გაიკარგებდა, საკუთარს მკურნალსაც იყოლიებდა და სხვა ათასგვარ საკეთილო მალამოსაც დაადებდა თავისს დღევანდელ სავალალო ყოფა-ცხოვრების ჭირ-ვარამს. მაგრამ საქართველოს ყველა კუთხე-სოფელს რომ თავისს საერთო ალებ-მიცემობის დეპო ჰქონდეს, საზოგადოდ ქართველებს სამი რამ გვაკლია საამისოდ: პირველი და უმთავრესი მრავალ-მნიშვნელოვან საერთო-საზოგადო საქმის გულმოდგინეობა, ყადრი, დაფასება და იმავე საქმის მტკიცე დაურღვეველი თანაგრძნობა-სიყვარული, მეორე—საალებ-მიცემო ცოდნა-გამოცდილება და მესამე—ფული.

ეს ასეა, მაგრამ გონებითა და ქონებით მოწინავე კაცთა მოწადინება-შეწევნით რომ ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში დაიბადოს კოოპერატიულ დეპოების გამავრცელებელი საზოგადოება და ამავე საზოგადოებამ დააარსოს ტფილისში ცენტრალური მთავარი-დეპო, მაშინ ამ მთავარ-დეპოს წყალობით გამოფხიზლებული საქართველოს ყოველი კუთხე-სოფელი ცოტად მაინც გამხნევდებოდა, ზოგან ცოტაოდენს სათანხო ფულსაც მოაქუჩებდნენ, თითო-ოროლა ვაჭრობის მცოდნე-კაცსაც იპოვნიდნენ დიოგენის ფარნით, საქმეს პატარიდგან მაინც დაიწყებდნენ, და ამ საკეთილო საქმეთა მიხედულობით საერთო საქმეებისათვის უთანაგრძნობო-მოუზიარებელი დღევანდელი ჩვენი ერი საზოგადო საქმეების გულმოდგინეობას, ყადრს, დაფასებასა და თანაგრძნობა-სიყვარულსაც ისწავლიდა თან-და-თან, როგორც ამ სამოციოდე წლის წინედ, ვორონცოვის დროს, თვით ჩვენის ერის შეძლებული და ცოტაო თუ ბევრად შეგნებული ნაწილი—თავად-აზნაურობაც-კი არაფრად სთვლიდა სწავლას, აბუჩადაც იგდებდა მასხრულის დრეჯა-კრეჯით და ვიდრე ქრთამს არ აძლევდნენ სიკეთე-დაუნახავ მშობლებს, სწავლის გავრცელების მოციქულნი-მოწადინენი, იმ დრომდე შვილები სასწავლებელში არ მიჰყავდათ, მაგრამ განქრა ის დრო ჟამიც ჯანღ-ბურუსიან გონების სიბნელე-უმეცრებისა, და დღეს ტყაპუჭა-დაგლეჯილმა ტეტიამაც-კი შეიგნო ღვთისგან კურთხეულ სწავლის უდიდებულესი მნიშვნელობა.

აი სწორედ ასევე შეიგნებს მთელი საქართველო ნელ-ნელა კოოპერატიულ საზოგადოებათა დიდ-მნიშვნელოვან სიკეთე-მადლსაც, როდესაც პროვინციის დეპოების ხელის შემწყობი მთავარი დეპო დაიბადება ტფილისში. ამ ცენტრალურმა მთავარმა დეპომ უნდა მოჰფინოს ცხოველ მყოფელი მზის სხივებსავით ქვეყანას საერთო-საზოგადო ალებ-მიცემობის ალორძინება-სიყვარული და იმანვე უნდა შეუწყოს ხელი პროვინციის ყველა დეპოს საკომერციო ცოდნა-გამოცდილების დარიგებითაც და ყოველ-გვარ საქონლის ნისიად ძლევითაც, როგორც საალებ-მიცემო სწავლა-გამოცდილების და დიდი სამოქმედო თანხა-კრედიტის მქონე მამა-მთავარმა, რომელსაც ადამიანთა ყოველ-დღიურ ცხოვრებისათვის საჭირო ყოველგვარი საქონელი პირდაპირ რუსეთის იმპერიის და საზღვარ-გარეთის მექარხნე-მეფაბრიკეთაგან უნდა მოზიდოდეს შეუწყვეტლივ, რომ არა თუ მთელი საქართველოს კუთხე სოფლების საზოგადო დეპოები, კერძო ვაჭრები და ყველა მუშტრები ვაჭრობდნენ იმ საქართველოს მთავარ დეპოში, არამედ თვით ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიების ზოგიერთი ვაჭრებიც-კი იმავ სიმართლე-ჭეშმარიტების და გარდაწყვეტილ ფასების მოყვარე მთავარ-დეპოსაკენ მირუვდებოდნენ წისქვილის წყალივით...

ტფილისში რომ ცენტრალური მთავარი-დეპო გვქონდეს, თქმა აღარ უნდა, ადვილად გავრცელდებოდა მაშინ საქართველოს ყველა ქალაქ-დაბა-სოფელში საალებ მიცემო საზოგადო დეპოები და ჩვენს ახალ-თაობასაც, საშუალო თუ უმაღლეს სწავლის მქონე კაცებსაც და ქალებსაც საყოველ-მხრივო მოქმედების დიდი და ვრცელი ასპარეზი დაებადებოდათ ტურფა სამშობლოს ორ ზღვა-შუა ფართოდ გადაჭიმულ გულ-მკერდზედ: საალებ-მიცემო საზოგადოებათა დაწესებულებაში სამსახურის დროს ათას გვარს მადლსა და ცოდნას გაავრცელებდნენ იგინი ბეჩავს ხალხში და ათას-გვარ მადლსა და ცოდნასვე შეჰკრებავდნენ ოხოლ მარგალიტსავით მეცნიერება-მწერლობისაგან ხელ-უხლებელ ხალხშივე საქართველოს ერის ყოველ-მხრივად შესასწავლად და საკეთილდღეოდ.

ტფილისში საალებ-მიცემო მთავარ-დეპოს დაარსების შესახებ დ. მაჩხანელიც ლაპარაკობდა ამ რვა წლის წინად თავისს გრძელ წერილებში („ჩვენი უთავბოლობა“), რომელიც შეეხებოდა ჩვენის ერის სავალალო ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობას, ყველა წოდება-სამსახურის კაცთა მდაბიო ხალხთან განწყობილება-დამოკიდებულებას და ევროპის სახალხო დეპო-ბანკების მსგავს დაწესებულებათა ჩვენშიაც ყველგან დაარსებას. მის შემდეგ კიდევ ბერჯელ ითქვა ჩვენს ჟურნალ გაზეთებში ტფილისში ცენტრალურ მთავარ-დეპოს დაარსების შესახებ, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, როგორც გვახსოვს, საწევრო ფულის გამოღებაც-კი დააპირეს სიამოვნებით ზოგიერთებმა საამისოდ, და აი დღეს ამავე საგანზე სწერს „ივერიის“ მე 4 №-ში პატივცემული ბ-ნი ანტონ ფურცელაძე, რომელიც, სხვათა შორის, ამბობს: „ჩვენ უნდა შევქმნათ ერთი დიდი სავაჭრო სინდიკატი როგორც მანუფაქტურული და სამეურნეო, აგრეთვე სხვა ნაწარმოების საწყობებით. ამისათვის უნდა შევკრიბოთ ერთი ოცი ათასი თუმა-

*) იხ. „ივერია“ № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკიდებული, თავისს საბენეფისოდ ასეთი პიესა რად აირჩია. ძალიან სუსტი იყო მაგისტრ ბრონის როლში ბ-ნი ა. ჭელიძე. ეს როლი ერთი საუკეთესოა პიესაში და ახალგაზდა არტისტი უნდა ცდილიყო უკეთესად წარმოედგინა იგი. ჩვენის აზრით, უკეთესი იქმნებოდა ეს როლი ბ-ნის გედევანოვისათვის მიეცათ. სუსტობდნენ დანარჩენი არტისტებიც—ქ-ნი ნებიერიძისა, ბ-ნნი სვიმონიძე და შათირიშვილი, თუმცა თავიანთი როლები მაინცა და მაინც არ წაუხდენიათ.

შემდეგი წარმოდგენა შაბათს, 19 თებერვალს იქმნება. წარმოადგენენ, რეჟისორების ვ. აბაშიძისა და კ. მესხის საბენეფისოდ, პიესას „კაზაიანს“.

მოკეთე

# უცხოეთი

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

რაც ომი ასტყდა, მერმეთ მეხუთე თვეა და აქამდისინ ინგლისის ჯარს ერთხელაც არ ღირსებია გამარჯვება მტერზე. ინგლისის მთავრობა ჯარებს ჯარებზე ჰგზავნიდა სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ ბურების წინააღმდეგ ვერა გააწყო-რა. ბოლოს ძალამ მაინც თავისი გაიტანა და 15 თებერვალს ბედმა პირველი გამარჯვება არგუნა ინგლისელებს. როგორც დეპეშებიდგან ვიცით, ამ დღეს ფელდმარშალ რობერტსს ორანჟეს გამოჩენილი გენერალი—კრონიე ტყვედ ჩაუვარდა ხელში 4000 კაცით მაარდერბეგთან. რობერტსს 50 ათას კაცამდე ჰყავნდა და ადვილად მოახერხა 4000 კაცისათვის ყოველ მხრივ შეეკრა გზა. როგორც ირლანდიელმა დეპუტატმა—უილიამ რედმონდმა განაცხადა ინგლისის ქვედა პალატაში, ასე დიდ რიცხოვანმა ჯარმა რომ 4 ათასი კაცი დაიმორჩილოს, ეს დიდს გასაკვირობას არ წარმოადგენს, მაგრამ საქმე ამაში არ არის. მხედველობაში ის უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისელების ეხლანდელი გამარჯვებას შეუძლიან სულ ერთიან შესცვალოს საქმის მდგომარეობა. ინგლისის ჯარი ამ ჟამად ორანჟეს რესპუბლიკის მიწა-წყალზეა და, კრონიეს დამორჩილებით, მას გზა გახსნილი აქვს ამ რესპუბლიკის სატახტო ქალაქ ბლუმფონტენამდე. ეს ქალაქი თუ აიღეს ინგლისელებმა, მაშინ დასავლეთ მხარეს ბრძოლა გათავებულად ჩაითვლება და ინგლისის იქაური ჯარის დიდი ნაწილი ტრანსვაალის სატახტო ქალაქ პრეტორიისაკენ გაილაშქრებს. საქმის ასეთი გარემოება სრულებით სცვლის ბურების სამხედრო გეგმას: ისინი, რასაკვირველია, იძულებულნი იქნებიან ლედისმიტს ალყა შემოხსნან, ნატალი მიატოვონ და თავიანთ სამშობლოს და სატახტო ქალაქს მიაშურონ მტრისაგან დასაცველად.

ბლუმფონტენში უკვე შესდგომიან თადარიგს და, როგორც ერთს გაზეთს სწერენ, ამ რამდენსამე კვირის წინად იქიდგან პრეტორიაში გაუგზავნიათ სახელმწიფო არხივი და სხვა-და სხვა საჭირო ქაღალდები. თქმა არ უნდა, ბურები ისე არ დასუსტებულან ჯერ, რომ ინგლისმა ადვილად და მოკლე დროს განმავლობაში შესძლოს მათი სრულიად დამორჩილება და ამ გვარად ომი ადრე გათავდეს, მაგრამ კრონიეს დამორჩილებით საქმე რომ ინგლისელების სასარგებლოდ შეიცვალა, ეს ცხადია.

— სამხრეთ აფრიკის ომს ბევრი მდიდარი ინგლისელი გაუღატაკებია თურმე და მათი რიცხვი თანდათან მატულობს. პირველად ასეთი ბედი სწვევიათ მთა-მადნების მწარმოებელთ და იოჰანესბურგის მოვაჭრეთ, რომელნიც აგიტატორებმა შეაცდინეს და ათხოვნინეს ინგლისის მთავრობასათვის, ტრანსვაალის საქმეში ჩარეულიყო. ბევრი ამ გაღატაკებულთაგანი იძულებული გახდარა ინგლისის ჯარში ჩაწერილიყვნენ და, წინანდელი ფუფუნების ნაცვლად, ჯარის კაცის მძიმე ტვირთი აეკიდნათ. ამათ გარდა ომს ცუდი დღე დაუყენებია უმრავ ქონების პატრონთათვის, რომელთაც ტრანსვაალის სამოქალაქო უფლებების მოპოვება ანგარების მოყვარეობით უნდოდათ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ ტრანსვაალიდგან გაქცეულიყვნენ, რადგან რესპუბლიკის ჯარში უნდა ჩაწერილიყვნენ მთავრობის განკარგულებით. უკელა ამათი ქონება სულ ერთიან დაღუპულა, მით უფრო, რომ მომეტებული მათგანი ისე გაქცეულა ტრანსვაალიდგან, რომ თავიანთ მაგიერი კაცი არ დაუტოვებიათ. იმათ ასე ჰგონებიათ, როგორც საზოგადოდ დანარჩენს ინგლისელებს, რომ ომი სულ რამდენსამე კვირას გასტანს და ისევ ადრე დაუბრუნდებით ჩვენს საქმესაო. აგრეთვე აუარებელია თურმე აქციის პატრონთა ზარალი, რადგან მადნებში მუშაობა შეჩერდა. კიდევაც რომ ძალიან გაიმარჯვონ ინგლისელებმა, ისინი მაინც ვეღარ ეღირსებიან დაკარგულს ბედნიერებას.

# დამაკვირდა

როგორც კარგს ადამიანსა აქვს რამე ზადი, ისე ცუდს—რამე ღირსება.

ს. ყ—ნი

* * *

უჩემი და ცუნდრუკი კაცი ჭირი არს მამულისათვის: ბევრს მოეჩვენება, ჭაპან-წყვეტით მოიღლების, გარნა ვერ გაანედლებს და ვერ გაასწორებს ვერცა ერთსა საქმეს, და არა თუ ესრე,—თვით განედლებულსა და გასწორებულსაც გაამრუდებს, შერყვნის, გააწბილებს.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთ „ურალს“ ტიუმენიდგან მეტად დაუჯერებელ ამბავსა სწერენ. „უსტნიცის სათემო მმართველობამ,—სწერს კორესპონდენტი,—რაღაც მიზეზის გამო აითვალწუნა სახალხო სკოლის მასწავლებელი—ქალი. ეს ქალი მასწავლებლად იქვე მახლობელს სოფელში იყო. მმართველობა ჯავრს იმით იყრიდა, რომ ჯამაგირს არ აძლევდა მასწავლებელს. ბოლოს ისე გასჭირვებია მასწავლებელს, რომ თვალ-ცრემლიანი შესულა სათემო სამმართველოში და შემდეგის სიტყვებით მიუმართავს იქ მყოფთათვის: „ბატონებო, როდის მაღირსებთ ჯამაგირს! საჭმელი აღარა მაქვს... მთელი ღამეები ბნელაში ვზივარ; სამი კაპეიკი არ მომეპოვება, რომ უბრალო სანთელი ვიყიდო. ორ დღეში ერთხელ ვეღირსები ხოლმე ცარიელ პურს. როდის მომცემთ ჯამაგირს“? ოთახში მყოფთ სიამოვნებით ერთმანეთს გადახედეს. ეტყობოდათ, კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ ჯავრი კარგად ამოიყარეს და საწყალი ქალი, რომელიც თავისს ახალგაზდობის დღეებს ხალხის სწავლა-განათლების საქმეს ანდომებს, ასეთ გაჭირვებამდე მიიყვანეს. მაგრამ მასწავლებელს ესეც არ აკმარეს. მწერალმა ამ სიტყვებით მიჰმართა: „ჯამაგირს ემ წუთში მოგცემთ, მაგრამ ერთის პირობით: აქვე, ყველას წინ უნდა იცეკვოთ“. გაჭირვებამ იძულებული ჰყო ქალი ეს უკანასკნელი საქმეც შეესრულებინა... ჯამაგირი მხოლოდ მაშინ მიიღო, როდესაც მტარვალებმა გული იჯერეს და ერთი ორჯერ აცეკვეს საწყალი ქალი“.

* * *

სამხრეთ-აფრიკაში, სადაც ეხლა ბურებსა და ინგლისელებს ომი აქვთ, არსებობს დედათა ერთი მონასტერი. ეს მონასტერი კათოლიკეებისაა. საოცარი მშრომელი და მუყაითი ხალხი ყოფილან თურმე ამ მონასტრის მოლოზნები. მოლოზნები იმ აზრით დასახლებულან კაპის ახალშენში, რომ ადგილობრივ ველურთა შორის ქრისტიანობა გაევრცელებინათ. მიუხედავად ასეთის კეთილის მიზნისა ბურებმა და თვით ინგლისელებმაც ეჭვის თვალით შეჰხედეს მოლოზნებს. მოლოზნებმა იყიდეს დიდი ფერმა და, რადგანაც ამ ადგილას მუშები ძნელი საშოვნელია (მამაკაცები თითქმის ყველანი ალმასისა და ოქრო-ვერცხლის მადნებში მუშაობენ), თვით შეუდგნენ ხვნა-თესვას, ერთხელ. მოლოზნებს გუთანი გასტეხიათ. მახლობლად მჭედელი არ იყო თურმე. მოლოზნებს კაპშტადტიდგან გამოუწერიათ ყველაფერი, რაც სამჭედლოსთვის საჭიროა და მშვენიერი სამჭედლო გაუმართავთ, შემდეგ იქიდგანვე დაუბარებიათ მჭედელი და შესდგომიან ამ ხელობის სწავლას. მალე მჭედლობაში ისე დახელოვნებულად, რომ მახლობლად მცხოვრები ინგლისელები და ბურები ყოველ საქმისთვის იმათ მიჰმართავდნენ ხოლმე. ეხლა სამჭედლოში რამდენიმე მოლოზანი მუშაობს თურმე. ეს მოლოზნები აკეთებენ მშვენიერ ბარებს, თოხებს, სჭედავენ ცხენებსა და სხვა. ბოლოს თავიანთის შრომის მოყვარეობით და მუყაითობით ყველას ყურადღება მიუქცევიათ. ამ ჟამად არა ერთი და ორი სოფელი მიდის თურმე იმათთან სხვა და სხვა საქმისათვის.

* * *

ერთი მკურნალი ინგლისურს ჟურნალში ამტკიცებს, რომ როიალის ხშირ დაკვრას ცუდი შედეგი მოსდევსო. მკურნალის აზრით, იმის გარდა, რომ როიალს წარა მარა აქღარუნება თავს აბეზრებს ოჯახის წევრებს, ასეთი აქინება თვით დამკვრელისთვისაც არ არის კარგიო. როგორც სტატისტიკიდგანა სჩანს, ახალგაზდა ქალები როიალის ხშირის დაკვრისაგან სუსტდებიან და სისხლის ნაკლებულება ეტყობათ. ეს მკურნალი ურჩევს პარლამენტს ახალი კანონი გამოსცეს, რომლის ძალითაც დედ-იამას ნება აღარ ექმნებათ ძალა დაატანონ თავიანთ ახალგაზდა ქალებს წარამარა როიალი აღარუნონ.

## გამოსადეგი ცნობა

თუ ფირუზის ბეჭედი გაქვთ და არ გინდათ ფერი დაჰკარგოს, საპნით ხელი არასოდეს არ უნდა დაიბანოთ, კიდრე ამ ბეჭედს არ წაიძრობთ თითიდგან.

# ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო 1 ახალი წიგნი, მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი რუსულს ენაზე—Царица Тамара (თამარ მეფე). შინაარსი წიგნისა: მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა თამარ მეფის ეპოქამდე.—ისტორია თამარ მეფისა.—დამატება—პალეოგრაფიული ნიმუშები: ქართული წერის ნიმუშები მე-VII—XII საუკუნეთა; ხელმოწერილობა თამარ მეფისა, მისის მამის გიორგისა, ქმრის დავით სოსლანისა, შვილის გიორგი ლაშისა, კათალიკოზის თეოდორესი, ჭიაბერისა, შოთასი (რუსთაველი?) დასხ.

წიგნს თავში ჩართული აქვს თამარ მეფის სურათი, წიგნი სუფთად არის გამოცემული და შეიცავს 127 გვერდს ნიმუშებს გარდა და, თუმცა დველობაში ვიქონიით, რომ პალე-

---

ნი მაინც, რომლისაც მოკრება არ იქნება ძნელი, უკეთუ ჩვენთა ფულისა და ქონების პატრონთა შეჰრჩენიათ გული და უყვართ თავისი მშობელ-აღმზრდელი ერი. ოცი ათასი თუმნის პატრონს ყოველთვის შეუძლიან იქონიოს კრედიტი ორ მილიონ მანეთის საქონლისა. ამ საქონლის საწყობს შეუძლიან იქონიოს როგორც ტფილისში, აგრეთვე სხვაგან სავაჭრო და საწყობი განყოფილებანი. აქ შეუძლიან ან შეუერთდეს იმათ გორის სინდიკატი და ახალქალაქის დეპოც, ან გახდნენ განყოფილებანი ამ დიდი სინდიკატისა. სავაჭრო საქმის თავს უნდა დავაყენოთ დიად მცოდნე, როგორც თეორიული, ისე გამოცდილი კაცი საქმეში. უკეთუ ჩვენში არ აღმოჩნდება, მოვიწვიოთ უცხო ქვეყნიდამ ამგვარი მცოდნე, რომ ის გაუძღვეს საქმეს შესაფერად. ამას მივცეთ თანაშემწენი და მივუჩინოთ ზედამხედველნი. როგორც უმთავრესს საწყობს, აგრეთვე საწყობსა და სავაჭრო განყოფილებაში ჩავაყენოთ შეგირდებათ უკეთესი ნიჭის ყმაწვილები. ეს ყმაწვილები უნდა მოიკრიბოს საქართველოს ყველა კუთხიდამ“... „ერთს დიდს სახსრად ამგვარი დიდი საქმისა შეიძლება უჩინოთ ის ფული, რომელსაც უბრუნებს მთავრობა ჩვენი ბანკების დამფუძნებელთა და აგრეთვე ის ფული, რომელსაც გაიღებენ სათავად-აზნაურო ხაზინისათვის ის თავად-აზნაურნი, რომელნიც არა ყოფილან ბანკის დამფუძნებელნი“-ო.

იქვე ამბობს ბ-ნი ა. ფურცელაძე, რომ დიდად სასურველია ამ საქვეყნო-საკეთილო დიდ საქმეს უმთავრესი ყურადღება მიაქციოს თავად-აზნაურთა გუბერნიის კრებისაგან იმ ამორჩეულმა კომისიამ, რომელმაც ბანკიდგან დასაბრუნებელ ფულს რაიმე საჭირო საქმე უნდა აღმოუჩინოსო, და აბა ამაზე უკეთეს საქმეს სხვა რაღას ამოუჩენს, როდესაც ხსენებული ფული საერთოდ ჩვენს ქვეყანასაც ბევრნაირად დააწინაურებდა იმგვარ დიდ საალ-მიცემო სინდიკატის დაარსებით და თვით თავად-აზნაურთა მოზარდ თაობასაც უფრო გაცილებით მეტის პროცენტის ძლევას დაუწყებდა სწავლა-ცოდნაში აღსაზრდელადო.

ტფილისში მთავარ დეპოს განსახორციელებლად, გარდა სახელმწიფო და სხვა ბანკებიდამ კრედიტის აღებისა, გარდა თავად-აზნაურთა ბანკიდამ დასაბრუნებელ ფულისა და საწევრო პაებისა, ჩვენ დავასახელებთ ტფილისის გუბერნიის გლეხთა სამეურნეო (პურის მაღაზიების) თანხასაც, რომელიც მილიონს აღემატება თავის მიკროსკოპიულ პროცენტებით და სწორედ ზედ-გამოჭრილიც იქნებოდა: ყვითელი ოქრო შავის დღისათვისო, ნათქვამია, და იმ შავის დღისათვის გადადებული ყვითელი ოქროთი დაარსებული მთავარი დეპო გაუხდებოდა მხსნელ-მფარველად ჩვენის ხალხის მეურნეობის საძალღონედ გამხდარს მილიონების ნაწარმოებს; მაშინ, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებისა, ისეც ქიზიყის მილიონების სულადი, ღვინო, საკლავი, მატყლი, თამბაქო, პარკი და მრავალი სხვა ნაწარმოები მეურნეობისა იმავ მთავარ-დეპოს შუამავლობით ეღირსებოდა სახეირო ბაზარს უანგარიშო მწარმოებელთა და მომხმარებელთა საკეთილოდ.

ეს ყველა კარგი და პატიოსანიო,—ჰბრძანებს ზოგიერთი მკითხველი: შეიძლება მთავარ-დეპოსათვის საქმის მცოდნე კაცებიც გამოგვიჩნდნენ, საკმაო ძირის თანხაც ვიშოვოთ და დიდი კრედიტიც გავიხსნათ ყველგან რუსეთის იმპერიაში და საზღვარ-გარეთაც, მაგრამ მაინც ბოლო არ ექმნება და უმჯობესია სულ თავი დავანებოთ ქართველებმა კოოპერატიულ აღებ-მიცემობის საქმეებსო. რომ ჰკითხოთ: რატომ არ ექნება ბოლოვო, გიპასუხებენ: ჯერ საამისოდ მომზადებულნი არა ვართო, ზოგნი შესჭამენ კიდეც და, თუნდა ესეც არ იყოს, შულცე-დელიჩმა კი არ იხსნა კოოპერატიული დეპო-ბანკები დაგვაწინაურებს საერთოდ გერმანელებსო, მაგრამ ვერც მისი წინასწარმეტყველება აცხადდა სისრულით და ჩვენში ხომ კუს ნაბიჯითაც ვერ მიობლავს დღეს საზოგადო დეპო-ბანკების საქმეო. აბა, ეხლა გავატაროთ ყველა ეს ნათქვამი მართლ-მსაჯულების კრიტიკის ცხრილ-ტაბაკში და ვნახოთ რა გამოირკვევა.

ჯერ პირველად ამას მოვახსენებ საპასუხოდ კოოპერტიულ დეპო-ბანკების ზოგიერთ არ თანამგრძნობლებს: ქვეყნის უმთავრესი საშველი წამალი ქვეყნისავე ყოველგვარ აღებ-მიცემობის გაუმჯობესობაშია, ამ ავე აზრისანი არიან დღეს ყველა ქვეყნის უმაღლესნი მთავრობანიც, რომელნიც თითონვე ადგნენ საკოოპერაციო აღებ-მიცემობის წესდებებს და აჩეჩებენ თავიანთ ქვეშევრდომთ. აი სწორედ ასეთმა ცხოვრების ახალმა მოძრაობამ გამოიწვია კიდეც, რომ ევროპაში ბურჟუაზია თავს აბეზრებს უმაღლესს მთავრობას ასეთი საჩივრებით: ნულა ამრავლებთ ნებართვის მიცემით კოოპერატიულ ამხანაგობათა დეპო ბანკებს ჩვენს დასაღუპადო, მაგრამ ასეთი ეგოისტური საჩივრები მთავრობას სიცილადაც არა ჰყოფნის.

ესრედ წოდებულმა „რაიფენის საზოგადოების“ საერთო დეპო-ბანკებმა ხომ იქამდის მიაღწია ევროპაშივე, რომ უმაღლეს სასწავლებლის დაარსებასაც კი აპირებენ ხალხისათვის.

ჩვენს საერთოდ მომზადებას რომ ველოდოთ, „ვიდრე პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“ დაგვემართება ხელმეორედ, და ნურც ამას დავივიწყებთ, რომ ავადმყოფს ეჭირვება მკურნალი და არა კარგად მყოფს. „შესჭამენოს“ შიშით რომ წინა დღითვე გულები გავიხეთქოთ, მაშინ ამის მიხედულობით ქვეყანამ აღარც ოთხ ფეხი საქონელი უნდა მოაშენოს, აღარც ვენახ-ბაღები და აღარც ერთი სახელმწიფო ბანკი თუ ხაზინა და აღარც სხვა კერძო საალებ-მიცემო დაწესებულება უნდა იყოს სადმე, რადგანაც იქაც იგივე ითქმის: ოთ-ფეხ საქონელს და ვენახ ბაღებს ნადირები, მწყესები და მეზვრე-მებაღენი შესჭამენო და სახელმწიფო ხაზინა-ბანკებს და კერძო კაცთა საალებ-მიცემო დაწესებულებებსაც მათში მოსამსახურე ადამიანებიო. ვინ ამბობს, არიან ყოვლად უპატიოსნონი და არსებობს მათთვის ათასგვარად თავს ლაფდასხმული სასჯელიც. დიად მგლის შიშით ქვეყნის მაცხოვრებელი ცხვარი არავის გაუწყვეტია.

არიან კოოპერატიულ ამხანაგობათა ისეთი არ მორწმუნენიც, რომელნიც საკეთილო მადლის გასაუკუღმართებლად დაჟინებით გაიძახიან შემდეგს: საზოგადო-საამხანაგო დეპოები რომ ქვეყნის ასაშენებლად

ოგრაფიულ ნიმუშების ბეჭდვას დიდი ხარჯი უნდება, იაფადა ჰღირს (ათ შაურად).

2, „დედა“—ზღაპარი ანდერსენისა. საყმაწვილო სურათებიანი წიგნი. წიგნი სუფთად არის გამოცემული და ჰღირს 8 კაპეიკად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 თებერვალი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. უინდემმა განაცხადა, რომ როცა მზად იქნება გემები, მე-8 დივიზია აფრიკაში გაიგზავნებაო. გოდერვიკმა, ლიბერალთა დასის წევრმა, იკითხა, რუსეთისაგან რომ სპარსეთმა სესხი აიღო, ამის შესახებ ინგლისის მთავრობამ იცოდა რამე და ამ საქმის გამო მთავრობამ გადასდგა რაიმე ნაბიჯი, თუ არაო? ბროდრიკმა უპასუხა პირველი კითხვის შესახებ, რომ მთავრობამ არა იცოდარაო, ხოლო მეორე კითხვის გამო განაცხადა, რომ ამ საგნის შესახებ ბრიტანიის მთავრობას არ შეუძლიან გაუწყოთ რამეო.

**ლონდონი.** „Standard“-ს აუწყებენ პიტერს-ტაციონიდგან 13 თებერვალს: „დღეს მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა შეჩერდა, რათა შესაძლო ყოფილიყო დახოცილების დამარხვა“.

კრონიეს დამორჩილების გამო „Standard“-ი ამბობს, რომ გამარჯვება შესამჩნევია, მაგრამ იმის შედეგი არ უნდა გავაზვიადოთო. ჩვენს აფიცრებს და ჯარის-კაცებს კიდევ ახალი მსხვერპლი დასჭირდებათო.

„Morning Port“-ი ასე ლაპარაკობს: „უკვე ხმა ისმის სულგრძელების მომხრეთა, მაგრამ ამ საგნის შესახებ ჩემბერლენი დაგვპირდა, რომ ამ გვარ ომის განმეორება შეუძლებელ უნდა ვჰყოთო“.

„Daily News“-ი ჰფიქრობს, რომ ყოველ გვარი დაბრკოლება ძლეულ არისო. გაზეთი ილტაცებით ეგებება იმ ამბავს, რომ მე 8 დივიზია გემებში უნდა ჩაჯდეს ჩქარაო.

„Daily Telegraph“-ს იმედი აქვს, რომ რობერტსის გამარჯვების წყალობით ლაპარაკის კილოს შესცვლიან უცხო ქვეყნის გაზეთები, რომელთაც უხაროდათ ინგლისის ჯარის დამარცხებაო.

„Times“-ი ამბობს, რომ კრონიეს დამარცხების მნიშვნელობის განსაზღვრა ადვილი საქმე როდიაო. ჰოლანდიელებიც ისეთივე მედგარი ხალხია, როგორც ბრიტანელები და, რობერტსს, უთუოდ, კიდევ მოუხდება მტრის დამარცხება, რისთვისაც ომის გასაგრძელებლად უნდა ვემზადებოდეთო.

**კოლენზო.** გენერალ გარტის ბრიგადა იერიშით მივიდა ბურების სიმაგრეებზე პიტერს-გოლთან. ინისკალინგოფის ფუზილიორები პირდაპირ წავიდნენ მთის ციცაბოების მხრივ და მტრის ბანაკამდის სულ რამდენიმე ასი იარდი უნდა გაევლოთ, მაგრამ საშინელი ტყვიის წვიმის გამო, იძულებულ იყვნენ უკან დაბრუნებულიყვნენ. მტრის ცეცხლი ისეთი საშინელი იყო, რომ, როცა ქვეითა ჯარი გავიდა ხეობიდგან, სადაც თავს იფარავდა, თითქმის ყველანი დაიჭრნენ, რომელნიც ჯარს წინ მიუძღოდნენ. ღამით ქვეითა ჯარი გამაგრდა შუა გზაზედ და შემდეგ ისევ იერიში მიიტანა მტერზედ, მაგრამ ვერას გახდა.

**პაარდებერგი.** კრონიეს დამორჩილების მიზეზი უმთავრესად კანადის ჯარის და გეილენდერთა რაზმის ძლიერი თავს-დასხმა იყო.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იუწყება, რომ გუშინ აიღე პიტერს-გოლლი, აგრეთვე მთავარი პოზიციები მტრისა და ტყვედაც 60 ბური წამოვიყვანეო.

**პეტერბურგი.** 16 თებერვალს მარიინის თეატრში გამართულ იქმნა წარმოდგენა მოსწავლეების სასარგებლოდ. სამს საათზედ თეატრში მათი უდიდებულესობანი მობრძანდნენ.

17 თებერვალი

**ლონდონი.** გუშინდელ ბრძოლის შესახებ ბულლერი შემდეგს იუწყება: „ჩვენი უმთავრესი ბინა გლანგვობეშია. 28 თებერვალს ბერმონის ბრიგადამ იერიში მიიტანა და საღამოზედ აიღო კიდეც გორაკი პიტერს-გილლი მე-4 11 ბრიგადებმა, გენერალის უორრენის უფროსობით, იერიში მიიტანეს მტრის მთავარ პოზიციაზედ. მზის ჩასვლისას უორრენმა ეს პოზიცია აიღო და ტყვედ 60 ბური წამოიყვანა. მტერი გაფანტულ იქმნა. ბულვანდის მთაზედ დარჩა მხოლოდ კარგა დიდი ჯარი მტრისა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ზარალი მცირეა.“

ოფიციალური დეპეშა რობერტსისა, პაარდებერგიდგან 16 თებერვალს გამოგზავნილი შემდეგს იუწყება: „კრონიე გუშინ წავიდა თავისს ოჯახობით კაპშტადში. თან კრონიეს გენერალი პრეცმანი და ჯარის-კაცნი ახლავან; შემდეგ გაგზავნილ იქმნენ სხვა ტყვენიც. ქალები და ბავშვები თავიანთ სამშობლოში გავისტუმრეთ. გავიგე, ბურები ძალიან არიან კრონიეს უკმაყოფილონი იმის გამო, რომ მან, ინგლისელების წინადადებისამებრ, ქალები, ბავშვები და დაჭრილნი ბანაკიდგან არ გაუშვა. 170 დაჭრილი ბური აქ საავადმყოფოშია. ბევრი ამათგან საცოდავ მდგომარეობაშია. გუშინ დავათვალიერე ბურების ბანაკი და გავკვირდი რა მოხერხებითა და სიმხნევით გადაუქცევიათ ბურებს ეს ბანაკი მიუდგომელ პოზიციად. რენსბურგი გუშინ ხელ-ახლა გენერალმა კლემენტმა დაიჭირა“.

**პაარდებერგი.** რობერტსი კრონიეს შეჰხვდა ეტლთან, რომელიც ღამის საწოლად იყო გარდაქცეული. როდესაც, დილის 7 საათზედ, ცხენოსანნი გამოჩნდნენ, რომელთაც გენერალი პრეცმანი მიუძღოდა მთავარ ბანაკისაკენ, რობერტსმა უბრძანა გეილენდერთა რაზმს დამწკრივებულიყო. პრეცმანის მარჯვნით მოდიოდა ხნიერი კაცი, უბრალო ტანისამოსსა და განიერ შლიაპაში გამოწყობილი—ეს კრონიე იყო. რობერტსმა და იმისმა შტაბმა კრონიე ფეხზედ მდგომი მიიღეს, პრეცმანმა ამ სიტყვებით წარუდგინა რობერტს კრონიე „სარდალი კრონიე“. კრონიე სამხედრო წესით მიესალმა რობერტს, ამ უკანასკნელმაც ასევე გასცა პასუხი. როდესაც მხედარნი ცხენებიდგან ჩამოხტნენ, რობერტსმა ხელი გაუწოდა კრონიეს და უთხრა: „მამაცათ იცავდით თავს“-ო. შემდეგ რობერტსმა საჭმელი შესთავაზა კრონიეს.

ტყვე ჯერ-ჯერობით 3700 კაცი აღმოჩნდა. ამას გარდა ინგლისელებმა ჩაიგდეს ორი მაქსიმეს და სამიც სხვა ზარბაზანი.

**ნიუ იორკი.** აქ აქებენ რობერტსის სტრატეგიას, მაგრამ ამასთან ჰკვირობენ აგრეთვე ბურების მამაცობასაც.

„Aduertiser“-ი ამბობს, რომ ეხლა, როდესაც ინგლისის სახელი აღდგენილ იქმნა, ინგლისს შემთხვევა ეძლევა დიდ-სულოვნობა გამოიჩინოსო.

„Herald“-ი სწერს, რომ კრონიეს დამორჩილება ინგლისისთვის სერიოზული მომენტია, რამენაც ეს შეერთებულ შტატების სადიპლომატო მოქმედებას შეეხება. როგორც ინგლისისა, აგრეთვე ამერიკის მთავრობათათვის საზოგადოების აზრი ისეთი ფაქტორია, რომლის უყურადღებოთ დატოვება არ შეიძლება. უეჭველია, ინგლისს თანაგრძნობას უწევენ შტატების ძლიერნი ფინანსისტნი და კონსერვატორნი, მაგრამ სხვანი აქ ბურების სასარგებლოდ მოქმედებენო“.

„World“-ი ამტკიცებს, რომ ჯერ ადრეა იმის შესახებ ლაპარაკი, თუ კრონიეს დამორჩილებას რა შედეგი მოჰყვებაო.

**ვაშინგტონი.** კონგრესის 30 წევრმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კრონიეს: „ქვერე ამისა ხელის მომწერნი, შეერთებულ შტატების პალატის წევრნი, გილოცავთ თქვენ და თქვენ ჯარის-კაცებს იმ ვაჟკაცობისა და მამაცობისთვის, რომელიც თქვენ კაცის უფლების დაცვისათვის ბრძოლაში გამოიჩინეთ“.

**ლონდონი.** ევროპის გაზეთების მიერ გამოთქმული ის აზრი, რომ ინგლისს ეხლა დაუდგა დრო ზავის ჩამოგდებას შეუდგესო, აქ თანაგრძნობას ვერ ჰპოვებს. აქ იმ აზრისანი არიან, რომ გაზეთებს, რომელთაც წარმოუდგენიათ, რომ ინგლისი დაქირავებულის ჯარით ომობს ზოგიერთა კაპიტალისტების ინტერესების დასაცველად, ოქროს მადნების შესაძენად და ახალ ადგილის დასაჭერად, არ ესმით რა გუნებაზედ არიან ინგლისელნი, რომელიც კარგად ჰხედავენ, ათასი თანამემამულენი როგორ სწირავენ სიცოცხლეს, რომ ერთის მხრით, დაიცვან ბრიტანიის მიწა-ადგილი, და მეორეს მხრით—ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველ ჰყონ ინგლისის უზენაესობა და ბატონობა სამხრეთ აფრიკაში. თუ სამხედრო ძალა ბურებისა განადგურებული არ იქმნება ინგლისს 100 000 კაცი დასჭირდება მარტო საზღვრების დასაცველად ახალ შემოსევათაგან. ეს დიდი ტვირთი იქმნება ინგლისისათვის და ამიტომ ამ ჟამად სანტიმენტალურ მოსაზრებათა გამო ზავის ჩამოგდების შესახებ ლაპარაკი მხოლოდ წინდაუხედაობას ამტკიცებსო.

# განცხადებანი

## სამეურნეო ბანკის

გამგეობა პატივისცემით აუწყებს ბანკის წევრთა მობრძანდნენ წლიურ მორიგ კრებაზედ, რომელიც დანიშნულია კვირას, 12 მარტს, დილის ათ საათზედ, ბანკის სადგომშივე სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლში.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიში 1899 წ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. საბჭოს მოხსენებანი.
4. 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა
5. არჩევანები ერთის გამგეობის წევრისა და ორის დეპუტატისა, დირექტორის ვ. რ. ყიფიანის, ნ. თ. ხიზანაშვილისა და თ. ი. გ. ბარათაშვილის მაგივრად, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ, და აგრეთვე სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

(2—6.—2)

### ახალი სახალხო და საყმაწვილო წიგნი.

### საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა,

ისტორიული ამბავი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. წიგნაკში მოთხრობილია თამარ-მეფის შვილის-შვილის მემკვიდრე დავითისა. წმინდა შემოსავალი მიემატება მცხეთის ტაძრის განსაახლებელს ფულსა. ფასი ორი შაური. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში: ბეჟანეიშვილის, ხეთერელის და წერეთლის მაღაზიებში, ახალ-სენაკსა, ოზურგეთსა და ბათუმში—თავართქილაძის მაღაზიებში. (3—6.—1)

---

იყვნენ გაჩენილნი, აქამდის მთელის ქვეყნის კუთხე-კუნჭულებს მოეფინებოდნენ და მთლად განქრებოდნენ კერძო ვაჭარ-მოვახშეთა დუქანბაზრებიო, მაგრამ ეს სულ ტყუილია და ამისთანა ქარის წისქვილებს მხოლოდ უნიადაგო მოოცნებელნი აშენებენ ჰაერშიო. ნუ თუ ეს იმას არა ჰგავს, რომ სთქვას ვინმე: სწავლა-ცოდნა რომ ქვეყნის საშველად იყოს გაჩენილი, მთელის ქვეყნის ქალაქ-დაბა-სოფლები აქამდის სკოლებითა და ჟურნალ-გაზეთ წიგნებით აივსებოდა ყელთამდისო, ან: ქრისტეს ღვთაებრივი მოძღვრება რომ ძლიერი და მადლიანი იყოს, მთელი ქვეყნიერობა საქრისტიანოდ იქცეო და, და მაშინ აღარც სასამართლო-საპყრობილენი იქმნებოდნენ საჭირონი საქაოს და აღარც ჯოჯოხეთი საიქაოსაო. დიახ, ალბად სწავლა-ცოდნაც და თვით ქრისტეს ღვთიური მოძღვრებაც გამოუსადეგარნი ყოფილან ცხოვრებაში, თორემ სწორედ ასე უნდა შეცვლილიყო ქვეყანა უცბად!..

მოგეხსენებათ, რომ ბუნებაში უცბად არა კეთდება რა სისრულით, რასაც კი ვხედავთ: ადამიანია იგი, ცხოველია, მცენარეა თუ კაცთა გონება-ხელისაგან შექმნილი უსულო რამ საგანი—ყველა ეს ჯერ პაწაწინად ჩასახულა, ზრდილა ნელნელა შეუწყვეტლივ, და ბოლოს თავის სისრულემდის მისულა; ასეთსავე ბუნების კანონს ექვემდებარება ქვეყნის პროგრესიც ანუ კაცობრიობის ყოველ გვარი წარმატება და წინმსვლელობა ქონებრივი, გონებრივი, ზნეობრივი, თუ ფიზიკური, რომელნიც გამუდმებით იზრდებიან და უმჯობესდებიან ნელ-ნელა და მათი ზრდა-გაუმჯობესობის დასასრულს, უეჭველია, ქვეყნის საუკუნო აღსასრულში ექმნება ბოლო. დიაღ, ასე ზანტად და ზლაზნით მიგოგავს და მიბაჯბაჯებს ადამიანთა ყოველგვარი წარმატება, მაგრამ მაინც მიუხედავად ამისა საალებ-მიცემო კოოპერატიული ამხანაგობანი, რომ თავის მოკლე დასაბამიდგან ამ ერთს საუკუნეშიაც გოლიათურის ნაბიჯით მიისწრაფიან წინ, სოკოს სისწრაფით მრავლდებიან მთელს ევროპაში, და თავის დროზედ ცხოველ მყოფელ მზის სხივებივით მოეფინებიან მთელის ქვეყნის სხვა კუთხე-კუნჭულებსაც ადამიანთა საკეთილდღეოდ—ეს ცხადია ყველა იმათთვის, ვისაც-კი ისტორია მსოფლიო ეკონომიისა შეუსწავლია.

გული სიამოვნების აღფრთოვანებით გევსებათ ლონდონის უშველებელ ამანაგობის „Metropolitan Bread Union“-ის საკვირველს ამბავს რომ ისმენთ და ოცნება-გულის-ალმაფრენა უფრო გიძლიერდებათ, როდესაც სიამოვნების ღიმილითვე ჰკითხულობთ ამბავს პარიჟის „ბონმარშე“-სას, რომელსაც ოთხი ათას ხუთასი ნოქარი ჰყავს და წელიწადში ვაჭრობს ას ორმოც და ათ მილიონ ფრანკს! გახსენდებათ ისიც, რომ მთელის ქვეყნის უთვალავ სააქციონერო საზოგადოებათა უანგარიშო მილიარდებიც მძლეთა მძლე ასოციაციის ნაყოფია, და ფრთებ შესხმულის ოცნებით ცაში დაფრინავთ და ჰფიქრობთ: ოდესმე ქართველებიც შევიძლებთ ამგვარ კოოპერატიულ საქმეებსო, მაგრამ დასცქერით იქიდგანვე „ჩვენსა წამხდარსა გმირობას და მამულს დაობლებულს“—და სასოწარკვეთილებით ივსებით.

ეჰ, მეჯავრება გულ-საკვნესი სასოწარკვეთილება, მე მაინც იმედს არა ვკარგავ, რომ მალე გვეღირსება დედა-ქალაქ ტფილისში საქართველოს მილიონების ალებ-მიცემობის მცველ-ფარველი, ცენტრალური მთავარი დეპო, თუ კი ყველანი ძმურად ვიზრუნებთ, მოვიწადინებთ და ვიტყვით: აი რა გავაკეთოთ მეოცე საუკუნის დამდეგში მაინც ჩვენის ქვეყნის ათასგვარ წარმატება-სიკეთისათვის და სასახელოდო.

ყველგანმყოფი